21/01/2026

MES 2 26 0000047215

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ.თბილისი, 30.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00სთ
დასრულების დრო: 13:20 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე
სხდომის მდივანი:დავით ლეშკაშელი (I, III და IV საკითხი)
სხდომის მდივანი:მიხეილ გურგენიძე (II საკითხი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2025 წლის 30 დეკემბერს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

- სერგო ჭელიძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
- ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- დავით ლეშკაშელი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

- მიხეილ გურგენიძე - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
- ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
- რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
- ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
- ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- სალომე კუჭუხიძე - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. ქეთევან ინანაშვილი -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. თამთა მოხევიშვილი- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ავიცენა - ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- ხათუნა ვარშანიძე - დირექტორი;
- ნინო გორგილაძე - პროფესორი - საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საბაზისო მედიცინის დეპარტამენტი;

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- ლავრენტი გუდავაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე;
- კარლო კოპალიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი);
- თამარ წერეთელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
- თამარ ლომინაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;

- ივანე ჯაგოდნიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ზაზა ბუაჩიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი;

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ელენე ჟურავლიოვა -საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- ზურაბ ჯავახიშვილი -პროფესორი;
- ნინო ჟვანია -ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო ამირანაშვილი -ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ეკატერინე კვინიკაძე -ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს;
- დალი ცქიტიშვილი -იურიდიული სამსახურის უფროსი;
- თამარ ებრალიძე -იურიდიული სამსახურის მთავარ იურისტი;

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

- მამუკა თავხელიძე - რექტორი;
- მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ია ფანცულაია - I საკითხი
- დავით სიხარულიძე - II საკითხი
- ნინო მინდიაშვილი - II საკითხი
- თამთა ცხოვრებაძე - II საკითხი
- ია მოსაშვილი - IV საკითხი
- ნანა არაბული - IV საკითხი
- თამარ გოდერიძე - IV საკითხი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს ავიცენა - ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმური
მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ავიცენა - ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმური
მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. შპს ავიცენა - ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ ანგარიშის შესწავლა ექსპერტთა მხრიდან მოხდა 2024 წელს, დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იყო ავტორიზაციის შედეგად. მან ასევე დააკონკრეტა, რომ გაცემული 37 რეკომენდაციიდან უმრავლესობა იყო ტექნიკური ხასიათის (მაგალითად ვებ-საიტზე ინფორმაციის ორ ენაზე განთავსება და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის შესწავლა ადგილზე ვიზიტით არ მომხდარა (თუმცა მან აქვე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მეორე წევრი ავტორიზაციის პროცესში ჩართული იყო და ნანახი ჰქონდა უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზა), დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია ბიბლიოთეკის მიმართ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო და რეკომენდაცია შესრულებულად მიიჩნია. რაც შეეხება რჩევებს, რჩევებთან მიმართებით ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს, მას აინტერესებდა გაცემული 37 რეკომენდაციიდან თუ იყო დარჩენილი რომელიმე შეუსრულებელი რეკომენდაცია და ადგილზე განხორციელებული შეფასების გარეშე, როგორ მოხდა აღნიშნული პროცესის წარმართვა.
ია ფანცულაიამ განმარტა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებული იყო და ვინაიდან აღნიშნული წარმოება წარმოადგენდა ანგარიშის შესწავლას, ის არ მოიცავდა ადგილზე ვიზიტის განხორციელების აუცილებლობას.
საბჭოს თავჯდომარემ, სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს, მას აინტერესებდა ,,გაიზარდოს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის საქმიანობის ბიუჯეტი, რათა აისახოს მისი ამბიციური გეგმები, გახდეს ლიდერი კვლევებში და გაზარდოს მიზნების მიღწევის შესაძლებლობები" - რეკომენდაციიდან გამომდინარე, რამდენად იყო გაზრდილი ბიუჯეტი და აკმაყოფილებდა თუ არა აღნიშნული დაწესებულების მისწრაფეფებს და სურვილებს.
ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად უფრო მეტ თანხას კვლევებისთვის დებს ბიუჯეტში და 7 წლის განმავლობაში განსაზღვრულია 2 410 000 ლარი კვლევისთვის. ასევე 112 000 ლარი სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის მხარდასაჭერად. მისი

თქმით ეს საკმაოდ დიდ ციფრებს წარმოადგენს საქართველოში არსებული კერძო უნივერსიტეტისთვის, გამოდის რომ წელიწადში დაახლოებით 300 000 ლარია გამოყოფილი აღნიშნული აქტივობისთვის და გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავს დიდი რაოდენობის სტუდენტები (113 აქტიური და 10 შეჩერებული). საერთო ჯამში ფინანსური თვალსაზრისით ბიუჯეტი გაძლიერებულია.
სერგო ჭელიძემ ასევე დააზუსტა თუ იყო უნივერსიტეტის მხრიდან შესრულებული აღნიშნული რეკომენდაცია - სრულად განვითარდეს უნივერსიტეტის ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენაზე და შეიქმნას ისეთი სტრუქტურა, რომელიც საშუალებას მისცემს მომავალ სტუდენტებს, დაინტერესებულ პარტნიორებს და საზოგადოებას ადვილად მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია.
ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, ასევე დაწესებულებას ჰყავს ახალი რექტორი და გათვალისწინებულია ასევე ის როკემნდაცია რომელიც ეხებოდა რამდენიმე ადგილას დასაქმებულ პერსონალს და აღნიშნული რეკომენდაციაც გათვალისწინებულია, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ პერსონალთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ
საკითთან მიმართებით.

ხათუნა ვარშანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება შეეცადა შეესრულებინა ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მიყვეს სტრატეგიული განვითარების გეგმას და იყოს მუდამ მზადყოფნაში შეასრულოს განმავითარებელი აქტივობები.

გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:10
დასრულების დრო: 12:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ავიცენა - ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღება

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” 79[1] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე შპს ავიცენა - ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting)
საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ
აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

• არა

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

• კი
აცილება განაცხადეს დავით ლეშკაშელმა და ივანე ჯაგოდნიშვილმა დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა
ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან
მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ შეფასება განხორციელდა,
როგორც ადგილზე ვიზიტით, ისე დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტების შეფასების გზით.
მისი თქმით, ავტორიზაციის დროს რეკომენდაციები ძირითადად გაცემული იყო სტრატეგიულ გეგმასთან, ინფრასტრუქტურასთან და სამეცნიერო საქმიანობასთან მიმართებით. ჯამში გაცემული იყო 37 რეკომენდაცია, რომელშიც ასევე შედიოდა რამდენიმე ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფის აზრით ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთანმიმართებით.

თამარ წერეთელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება შეეცადა და ზედმიწევნით შეასრულა ყველა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ქონდათ.

გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:20
დასრულების დრო: 12:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღება.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 79[1] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting)
საშუალებით ჩართო დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ
აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

• არა

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით
თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დოკუმენტებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდნენ თუ არა საქმის მასალებს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აღნიშნულ დოკუმენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს წარედგინა საჩივრის შესახებ ინფრომაცია.

თამთა მოხევიშვილმა აღნიშნა, რომ მომჩივანი მოწვეული იყო რათა დასწრებოდა საბჭოს განხილვას, თუმცა იგი არ ესწრებოდა აღნიშნულ სხდომას. საჩივართან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ მომჩივანმა, ლევან ნაცვლიშვილმა ცენტრს მიმართა საჩივრით, რომ მისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასება დაწესებულების მხრიდან მოხდა არასწორად, პროცედურული დარღვევებით. აღნიშნული საჩივრის შესახებ ინფორმაცია ცენტრმა აცნობა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. დაწესებულებიდან ცენტრში შემოვიდა წერილი, სადაც განმარტებული იყო ის დეტალები, თუ როგორ წარიმართა პროცესი და აღნიშნული წერილი ცენტრის მხრიდან გაეგზავნა მომჩივანს.
მომჩივანმა ცენტრს წარუდგინა დამატებითი მასალა, წერილები კომისიის წევრებთან, რომელთა ავთენტურობა არ დადასტურებულა და უბრალოდ არის გადმოტანილი მიმოწერა, სადაც აღნიშნულია რომ მისი სადისერტაციო დაცვის გადადების შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა წინასწარ განხილული საბჭოზე და მოგვიანებით გახდა მისთვის ცნობილი. ვინაიდან ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით დარღვევების არ იქნა გამოვლენილი, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ცენტრი ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას და საჭირო გახდა ავტორიზაციის საბჭოს განეხილა აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რომ საჩივარი ძირითადად შეეხებოდა პროცედურებს. მისი თქმით, ლევან ნაცვლიშვილს დაწესებულებამ რამდენჯერმე უპასუხა პროცედურებთან დაკავშირებით. სამწუხარო იყო, რომ მომჩივანის პირველი სადისერტაციო დაცვა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. მას დებულების მიხედვით მიეცა შანსი გადაემუშავებინა დისერტაცია და ხელმეორად წარედგინა (დეტალური ინსტრუქციის მიხედვით). სამწუხაროდ,ხელმეორედ წარდგენის შემთხვევაშიც დისერტაციამ ვერ მიიღო ისეთი სახე, რომ დაეკმაყოფილებინა ფაკულტეტზე არსებული სტანდარტები. დაწსებულებას მუდმივი კომუნიკაცია ქონდა ლევან ნაცვლიშვილთან პროცედურებთან დაკავშირებით, ისინი უგზავნიდნენ ოქმებს (დაცვის ოქმებთან დაკავშირებით) და რამდენჯერმე დარგობრივმა კომისიამაც იმსჯელა თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული სახით დისერტაციის დაცვა, თუმცა ყოველ ჯერზე დოქტორანტს ეძლეოდა უკუკავშირი რომ დისერტაცია არ აკმაყოფილებდა იმ სტანდარტებს და მოთხოვნებს რაც არის დაწესებული სადოქტორო ნაშრომთან მიმართებით.
ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რომ ზაფხულში ლევან ნაცვლიშვილი მივიდა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და გაიტანა პირადი საქმის ქსერო ასლები და სავარაუდოდ გარიცხვიდან ერთი წლის ვადა გამოიყენა რათა სხვა უმაღლესში გადასულიყო სასწავლებლად. დაწესებულების მხრიდან გარიცხვის ბრძანება, გადაწყვეტილების ოქმები და ყველა უკუკავშირი, რომელიც განიხილა დარგობრივმა კომისიამ არაერთხელ იქნა მიწოდებული მისთვის. ასევე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთან იყო ჩატარებული არაერთი შეხვედრა.

აქედან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევს რომ პროცედურულად არც ერთ პუნქტში არ დაურღვევია არც დოქტორანტის უფლებები და არც ის დებულებები, რომელიც არის ფაკულტეტის სადოქტორო დებულებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა თვლიდა თუ არა დაწესებულება, რომ დოქტორანტის მხრიდან არ მომხდარა გადამუშავება დისერტაციის ხელმეორედ დაცვისთვის.

ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რომ გადამუშავებული დისერტაცია დაწესებულებაში შევიდა დადგენილი ვადის მიწურულს. გადამუშავებული დისერტაცია და რეკომენდაციების სია დაწესებულებამ მიაწოდა დარგობრივ კომისიას. ცვლილებები გადამუშავებულ დისერტაციაში ასახული იყო, თუმცა აღნიშნული ცვლილებები არ იყო შინაარსობრივი და უფრო მეტად ტექნიკური ხასიათის იყო, დამატებული იყო გარკვეული ლიტერატურული წყაროები. დაწსებულებას აქვს დარგობრივი კომისიის პასუხი, თუ რომელი რეკომენდაციები არ შესრულდა და აღსანიშნავია, რომ არ შესრულდა ის მთავარი რეკომენდაცია, რომელიც არის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების სადოქტორო ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელი.

სერგო ჭელიძემ კიდევ ერთი კითხვით მიმართა დაწესებულებას და აინტერესებდა მხოლოდ დისერტაციის შინაარსობრივმა მხარემ არ დააკმაყოფილა კომისია თუ დოქტორანტის მიერ წარდგენილი პრეზენტაციაც არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.

სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარემ, ზურაბ ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ძირითადად შინაარსმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები.

გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:30
დასრულების დრო: 12:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ დაწყებული
ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting)
საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ
აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა
ჯგუფის დასკვნას და არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა,
თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან
მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნანა არაბულმა აღნიშნა, რომ გასაუბრება დაწესებულებასთან გაიმართა კოლეგიალურ ვითარებაში და მათ ყველა კითხვაზე მიიღეს ამომწურავი პასუხი, რისთვისაც მადლობას უხდიან დაწესებულებას. ექსპერთა მხრიდან განისაზღვრა ორი რეკომენდაცია, პირველი რეკომენდაციის (რეკომენდებულია, ინსტიტუციამ მკაცრად დაიცვას საკანონმდებლო მოთხოვნები და არ დაიწყოს სასწავლო პროცესის განხორციელება ახალ სივრცეში მანამ, სანამ აღნიშნული სივრცის გამოყენების უფლება ოფიციალურად არ მიენიჭება) გაცემის აუცილებლობა გამოწვია იმ გარემოებამ, რომ ფართი, რომლის დამატებასაც აპირებს დაწესებულება უკვე ფუნქციონირებდა, როგორც სასწავლო დაწსებულება და ჩვეულებრივად მიმდინარეობდა სწავლება. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას (საჭიროა სარეკრეაციო სივრცეების და გასახდელი ზონების გაფართოება და/ან სტუდენტთა ნაკადების რეგულირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა რაოდენობასთან შესაბამისი სათანადო ინფრასტრუქტურა), იმ ფართში, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა იყო სარეკრეაციო ზონები სტუდენტებისთვის, თუმცა ძალიან მცირე ზომის. მისი თქმით, ინსტიტუციამ განაცხადა, რომ 700 სტუდენტზე მეტი შეუძლია ამ ფართმა დაიტიოს, თუმცა ექსპერტთა

ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება ამ ფართის გაფართოება მოხდეს. გასახდელ ზონებს რაც შეეხება თითო - თითო ოთახია გოგოებისთვის და ბიჭებისთვის თუმცა უკეთესი იქნებოდა თუ გაიზრდებოდა ამ ოთახების რიცხვი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მოგელი შენგელიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ თავიანთი მოსაზრება უკვე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის სახით და დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების აზრით რეკომენდაციები არ იყო იმ სიმძიმის, რომ სტანდარტი შეფასებულიყო, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", მითუმეტეს მაშინ, როდესაც ექსპერტები თავად აღნიშნავენ, რომ აღნიშნული ფართი უკვე საკმარისად არის ტექნიკურად აღჭურვილი და მზა, რომ განახორციელოს სასწავლო პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და თხოვა დაეზუსტებინათ რაში გამოიხატებოდა მათი შეფასება, რომ დაწესებულების სარეკრეაციო ზონები არ არის საკმარისი სტუდენტთა იმ რაოდენობაზე რასაც ისინი განიხილავენ და რისი გაუმჯობესება არის აუცილებელი დაწესებულების მხრიდან.
ექსპერტთა ჯგუფის თავდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ მათ დაათვალიერეს ახალი ფართი, რომელსაც დაწესებულება იმატებს და ამ ფართის ტერიტორიაზე სადაც გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული ფართი დღის განმავლობაში 250 სტუდენტს მიიღებს, მოიცავდა სარეკრეაციო სივრცეს, რომელიც საკმაოდ პატარა იყო და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი მაგიდით. თუმცა აღნიშნა ისიც, რომ სართულებს შორისაც იყო გამოყოფილი მცირე ადგილები სარეკრეაციო ზონისთვის, თუმცა ეს სივრცე რამდენად იყო სტუდენტებისთვის სამუშაოდ ხელსაყრელი არ ჩანდა. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არაფერი საწინააღმდეგო არ აქვს იმ ინფრაქტრუქტურასთან რასაც დაწესებულება ფლობს. ყველაფერი არის თანამედროვედ აღჭურვილი და გამართულად მუშაობს. ექსპერტებმა ასევე შეამოწმეს იმ გასახდელი ოთახების რაოდენობა, რომელსაც სამედიცინო პროგრამის სტუდენტები იყენებენ და მათი აზრით აღნიშნული რაოდენობა შეიძლება არ იყოს საკმარისი იმ სტუდენტების რაოდენობისთვის რაც არის მოაზრებული.

დაწესებულების რექტორმა, მამუკა თავხელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კეთილგანწყობილი და ობიქტური ვიზიტისთვის. მან აღნიშნა, რომ 250 ადგილი (სკამი) არის გამოყოფილი სტუდენტებისთვის სადაც მათ შეუძლიათ დასხდნენ. მისი თქმით მათ არგუმენტირებულ პოზიციაშიც ასახეს, რომ შარტავას ქუჩაზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართი არა ძირითადი, არამედ დამატებითი სივრცეა, რომლითაც
სტუდენტი, საშუალოდ, კვირაში 2-4 საათით სარგებლობს. აღნიშნული ფართი ფუნქციურად სასწავლო-პრაქტიკულ და დამხმარე ინფრასტრუქტურად ითვლება. ეს არ არის სალექციო სივრცე, ის უფრო აღქმბეა როგორც ლაბორატორიული და სიმულაციური სივრცე სადაც სტუდენტები მცირე რაოდენობით იკრიბებიან და დაახლოებით 50 სტუდენტი არის თავმოყრილი შესაბამის აუდიტორიებში.
რაც შეეხება დერეფნებს, ყველა დერეფანში არის განთავსებული ბევრი სკამი, სადაც სტუდენტს შეუძლია მოისვენოს. მათ შორის ზედა სართულებზე განთავსებულია ასევე კომპიუტერები, რომელიც სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ, ხოლო ქვედა სართულზე მოწყობილია სტუდენტებისთვის მოსასვენებლი დიდი სივრცე. თუ დამატებით ქვედა სართულზე სადმე მაგიდის ჩადგმა თუ იქნება აუცილებელი აღნიშნული საკითხი პრობლემას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება გასახდელებს, სპეციალურად გამოყოფილი გასახდელი ოთახები ფუნქციურად განკუთვნილია ლაბორატორიული სამუშაოსთვის სტუდენტთა მოსამზადებლად და არც ერთი ლაბორატორია არ ღებულობს 12 კაცზე მეტს. ასევე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია საკიდები, რომელთა გამოყენებაც სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ. ხოლო რაც შეეხება სარეკრეაციო სივრცეებს აღნიშნულ ადგილას ერთ დროულად 250 კაცი არასდროს არ იკრიბება. დაწესებულება ზრუნავს და მათთვის მნიშვნელოვანია ყველა სივრცე იყოს სტუდენტისთვის უსაფრთხო, ვარგისიანი სწავლებისთვის და ლაბორატორიული საქმიანობისთვის.

ლევან მიდოდაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს, მას აინტერესებდა უარყოფითად ხომ არ აისახა ის გარემოება, რომელმაც გამოიწვია მათი მხრიდან პირველი რეკომენდაციის გაცემა სასწავლო ან
რომელიმე სხვა პროცესზე.
ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც ისინი იმყოფებოდნენ ადგილზე ვიზიტით სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ამ ფართზე და ყველაფერი გამართულად ფუნქციონირებდა. ყველა მოწყობილობა, რაც მათ ჭირდებოდათ სასწავლო პროცესის განსახორციელებლად ადგილზე იყო და არაფერი უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის განხორციელებას გარდა იმისა, რომ გამოიკვეთა საკანონმდებლო (იგულისხმება - არ დაიწყოს სასწავლო პროცესის განხორციელება ახალ სივრცეში მანამ, სანამ აღნიშნული სივრცის გამოყენების უფლება ოფიციალურად არ მიენიჭება) დარღვევა.

გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:00
დასრულების დრო: 13:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისთვის არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით 60 დღიანი მონიტორინგის განსაზღვრა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79^1-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს განესაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ინსტიტუციამ მკაცრად დაიცვას საკანონმდებლო მოთხოვნები და არ დაიწყოს სასწავლო პროცესის განხორციელება ახალ სივრცეში მანამ, სანამ აღნიშნული სივრცის გამოყენების უფლება ოფიციალურად არ მიენიჭება.

- საჭიროა სარეკრეაციო სივრცეების და გასახდელი ზონების გაფართოება და/ან სტუდენტთა ნაკადების რეგულირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა რაოდენობასთან შესაბამისი სათანადო ინფრასტრუქტურა.

საბჭო დახურულად გამოცხადდა 13:20 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
გურგენიძე მიხეილ

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო